იმერეთი - მრავალმხრივ საინტერესო კუთხე, უძველესი ისტორიისა და კულტურის გარდა, შთამბეჭდავი მღვიმეებითაც გამოირჩევა. განსაკუთრებით კი აღსანიშნავია პრომეთეს მღვიმე და სათაფლია. ორივე მათგანი საქართველოს სავიზიტო ბარათია და დიდი პოპულარობით სარგებლობს როგორც ქართველ, ისე უცხოელ ვიზიტორებს შორის.

სათაფლია ერთადერთი ადგილია მსოფლიოში, სადაც ერთსა და იმავე ადგილზე აღბეჭდილია როგორც ბალახისმჭამელი, ასევე მტაცებელი დინოზავრის, 120 მილიონი წლის წინანდელი, ნაკვალევი. იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიებზე მოგზაურობისას, თქვენ ბუნების ნამდვილ შედევრებს აღმოაჩენთ.

იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი 439,08 ჰექტარს შეადგენს და აერთიანებს: 1 ნაკრძალს, 1 აღკვეთილს და 16 ბუნების ძეგლს. მათ შორის ვიზიტორებისთვის ფუნქციონირებს პრომეთეს მღვიმე, ნავენახევის მღვიმე, თეთრა მღვიმე და სათაფლია. 2008 წლიდან იმერეთის მღვიმეები “მღვიმეთა საერთაშორისო ასოციაციის” - “ISCA”-ს წევრია. პრომეთეს მღვიმე, ასევე, “ზურმუხტის ეკოლოგიურ ქსელში” შედის.

იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია 2007 წელს, სათაფლიას ნაკრძალის ბაზაზე დაარსდა. მის შექმნას საფუძვლად დაედო ცნობილი მხარეთმცოდნის და პედაგოგის, პეტრე ჭაბუკიანის მიერ 1925 წელს სათაფლიას მღვიმის აღმოჩენა. მანვე აღმოაჩინა დინოზავრის ნაკვალევი.







სათაფლიას მღვიმე:
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ბანოჯა

პრომეთეს მღვიმე:
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ყუმისთავი

ნავენახევის მღვიმე:
თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნავენახევი.

თეთრა მღვიმე:
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ხომული

+995 544 33 44 33

info@parks.ge

იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიები / Imereti Caves Protected Areas

საქართველოს ეროვნული პარკები

იმერეთის მღვიმეები

www.nationalparks.ge

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო



ეკოტურიზმი

სათაფლია, თავისი პრეისტორიული ხანის დინოზავრების ნაკვალევით დაწყებული და კარსტული მღვიმეებით დამთავრებული, ხაზს უსვამს საქართველოს ისტორიისა და ბუნების მრავალფეროვნებას. სათაფლიაში აღმოჩენილია სხვადასხვა ეპოქის როგორც მტაცებელი, ასევე ბალახისმჭამელი დინოზავრის ნაკვალევი, რომლებიც მსოფლიოში ცნობილი სახეობებისგან განსხვავდებიან და „Satapliasaurus“-ის სახელით არიან ცნობილი.

პრომეთეს მღვიმე მსოფლიოს მასშტაბით გამორჩეული სილამაზის ბუნების ძეგლია. მისი ასაკი დაახლოებით 60-70 მილიონი წელია. სტალაქტიტებისა და სტალაგმიტების გასაოცარი ნაღვენთი ფორმებით მორთული ეს კარსტული მღვიმე გამოგზაურებთ ზღაპრულ სამყაროში. მღვიმეში გადაადგილებისას, გელოდებათ „გაქვავებული ჩანჩქერები,“ „ქვის ფარდები“ და სხვა ბუნებრივი ქანდაკებები. საფეხმავლო ბილიკის გავლის შემდეგ შესაძლებლობა გაქვთ მოგზაურობა სანაოსნო ტურით დაასრულოთ.

ნავენახევის მღვიმე განსხვავებული და ლამაზი ფორმის სტალაგმიტებით, სტალაგნატებითა და სტალაქტიტებით მდიდარი და გამორჩეული 210 მეტრის სიგრძის ორსართულიანი და 4 დარბაზიანი მღვიმეა. მღვიმე მთავრდება სტალაგნატით, რომლის სისქე 7 მეტრს შეადგენს.

თეთრა მღვიმე პირველი ეკოტურისტული სივრცეა საქართველოში, სადაც თეთრი ფერის ნაღვენთებით გამორჩეულ, ულამაზეს მღვიმეში დაძველებული ღვინის დეგუსტაციაა შესაძლებელი. ასევე, მღვიმეში შესაძლებელია სპელეოგამაჯანსაღებელი სეანსის ჩატარება.

სათაფლიას აღკვეთილს, პრომეთეს, თეთრასა და ნავენახევის მღვიმეებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად კეთილმოწყობილი ვიზიტორთა და ადმინისტრაციული შენობებისგან შემდგარი ინფრასტრუქტურა გააჩნია.

იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიებზე წლის ნებისმიერ დროს შეგიძლიათ ისიამოვნოთ შემდეგი სახის სერვისებით:

- საფეხმავლო ტური
- პალეონტოლოგიური ტური
- ეკოსაგანმანათლებლო ტური
- სპელეო ტური
- ფოტომოყვარულთა ტური
- სანაოსნო ტური

ბიომრავალფეროვნება

იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიებზე მოგზაურობისას კიდევ ერთხელ დარწმუნდებით ბუნების უსაზღვრო შესაძლებლობებში. აქ უხვად შეხვდებით ბუნების ნამდვილ შედევრებს - სტალაქტიტებსა და სტალაგმიტებს, რომელთა ულამაზესი ნაღვენთი ფორმები ზღაპრული გარემოს შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველში.

იმერეთის მღვიმეების მთავარი ხიბლია ის, რომ ერთმანეთისგან განსხვავებული ბუნების ძეგლებია. შესაბამისად, მათი თითოეული ნაღვენთი ფორმა უნიკალურია. მრავალი მილიონი წელი ბუნება ამ ფორმებს ქმნიდა და ძერწავდა, შედეგად კი ულამაზესი მიწისქვეშა სამყარო შეიქმნა.

იმერეთის განსაკუთრებულ ბიომრავალფეროვნებას აქ აღმოჩენილი დინოზავრის ნაკვალევიც უსვამს ხაზს, რომელიც მსოფლიო მნიშვნელობის უნიკალური მოვლენაა. ნაკვალევი მოწმობს იმას, რომ აქ სხვადასხვა დროს, დინოზავრების ორ ჯოგს გაუვლია.

სათაფლიას ტერიტორიის 98% უნიკალური კოლხური ტყით არის დაფარული, რომლის ძირითადი ნაწილი წიფლნარით და რცხილნარითაა წარმოდგენილი, რაც ბუნებაში დასვენების მოყვარულთათვის განსაკუთრებულ გარემოს ქმნის.

მრვალფეროვანია სათაფლიას ცხოველთა სამყაროც, სადაც უნიკალური სახეობა, ქართული მთის რუხი ფუტკარი ბინადრობს. კოლხური ტყის ლამაზ პეიზაჟს სხვადასხვა სახეობის ფრინველებიც ავსებენ.





ახლომდებარე ტურისტული ობიექტები

ოკაცეს კანიონი | უნიკალური ბუნების ძეგლი. მდებარეობს ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გორდში, მდინარე ოკაცეს ხეობაში.

ოკაცეს ჩანჩქერი | ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ჩანჩქერი საქართველოში. მდებარეობს ხონის მუნიციპალიტეტში, სოფ. კინჩხაში.

გელათის სამონასტრო კომპლექსი | XII საუკუნის ძეგლი. ჩრდილო-აღმოსავლეთით, სოფ. გელათში.

მოწამეთას ეკლესია | X საუკუნის ძეგლი. მდებარეობს სოფელ მოწამეთას მახლობლად, მდინარე წყალწითელას ხეობაში.

ბაგრატის ტაძარი | XI საუკუნის ძეგლი. მდებარეობს ქუთაისში, უქიმერიონის გორაზე.

უბისის მონასტერი | IX საუკუნის ძეგლი. მდებარეობს ზემო იმერეთში, სოფ. უბისაში.

იმერეთის მეფეთა სასახლე "ოქროს ჩარდახი" | მდებარეობს ქუთაისში, მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროზე.

კაცხის სვეტი | ბუნების უიშვიათესი შედევრი. მდებარეობს იმერეთის მხარეში. ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაცხში.

